2023 წლის ინდივიდუალური ფინანსურიანგარიშგება შპს „გრანდი 2022“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი:

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება

ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ინდივიდუალური ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
გრძელვადიანი ინვესტიციები		-	-
ძირითადი საშუალებები		-	-
არამატერიალური აქტივები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**-**	**-**
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	1	6	7
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2	1 437 379	774 244
მარაგები	3	9 666 293	7 949 934
გაცემული სესხები		-	-
მისაღები პროცენტები		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		**11 103 679**	**8 724 185**
მთლიანი აქტივები		**11 103 679**	**8 724 185**
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	109 100
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1 150 694	747 987
სულ კაპიტალი		**1 150 694**	**857 087**
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	4	9 952 985	7 866 270
საგადასახადო ვალდებულებები	5	-	828
გადასახდელი პროცენტი		-	-
გადასახდელი დივიდენდი		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**9 952 985**	**7 867 098**
სულ ვალდებულებები		**9 952 985**	**7 867 098**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**11 103 679**	**8 724 185**

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "გრანდი 2022"-ის სახელით

2024 წლის 30 სექტემბერს.

შპს გრანდი 2022-ის დირექტორი: ბააკა ალავიძე

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ლარში)	**შენიშვნა**	**2023**	**2022**
ამონაგები	6	40 316 316	41 247 611
თვითღირებულება	7	(39 215 768)	(40 564 812)
საერთო მოგება		**1 100 548**	**682 799**
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	8	(187 519)	(114 511)
სხვა ხარჯები		(75 700)	-
საოპერაციო მოგება		**837 329**	**568 288**
სხვა შემოსავლები	9	775 144	760 227
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	9	(1 209 766)	(580 528)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(434 622)	179 699
მოგება დაბეგვრამდე		**402 707**	**747 987**
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		**402 707**	**747 987**
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		**402 707**	**747 987**

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "გრანდი 2022"-ის სახელით

2024 წლის 30 სექტემბერს.

შპს გრანდი 2022-ის დირექტორი: ბაკა ალავიძე

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2023	**2022**
რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	370 087	1 216 360
მიღებული ავანსი	-	-
თანხის დაბრუნება მომწოდებლისგან	-	18
ავანსის მიღება	-	-
მიღებული ფულადი სახსრები	**370 087**	**1 216 378**
ანგარიშვალდებული პირისგან თანხის დაბრუნება/მიღება	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(218 096)	(1 309 689)
საბიუჯეტო გადასახადი	(9 100)	(1 224)
ავანსის გაცემა მომწოდებელზე	-	-
ხელფასის გადახდა	(33 600)	(6 800)
თანხის დაბრუნება მყიდველთან	-	-
სამივლინებო თანხის გადახდა	-	-
გადახდილი ფულადი სახსრები	(260 796)	(1 317 713)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**109 291**	**(101 335)**
კაპიტალის შევსება/შემცირება	(109 100)	109 100
კონვერტაცია	50	(4 000)
საბანკო მომსახურების გადახდა	(242)	(3 758)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	**(109 292)**	**101 342**
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	-
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ყველა საქმიანობიდან	(1)	7
ფული წლის დასაწყისში	7	-
ფული წლის ბოლოს	6	7

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "გრანდი 2022"-ის სახელით

2024 წლის 30 სექტემბერს.

შპს გრანდი 2022-ის დირექტორი: ბააკა ალავიძე

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

(ლარში)	**კაპიტალი**	**გაუნაწილებელი მოგება**	**მთლიანი კაპიტალი**
2021 წლის 31 დეკემბერი			
მოგება წლის ბოლოს		747 987	747 987
გაცემული დივიდენდი			-
კაპიტალის შევსება	109 100		109 100
კაპიტალის ამოღება			-
2022 წლის 31 დეკემბერი	**109 100**	**747 987**	**857 087**
მოგება წლის ბოლოს		**402 707**	**402 707**
გაცემული დივიდენდი			-
კაპიტალის შევსება			-
კაპიტალის ამოღება	**(109 100)**		**(109 100)**
2023 წლის 31 დეკემბერი	**-**	**1 150 694**	**1 150 694**

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "გრანდი 2022"-ის სახელით

2024 წლის 30 სექტემბერს.

შპს გრანდი 2022-ის დირექტორი: ბააკა ალავიძე

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გრანდი 2022" (შემდეგში «კომპანია») დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2022 წლის 08 თებერვალს და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი: 402203548.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: ქ.თბილისი, სამღერეთის ქ. N 32.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თამბაქოს ნაწარმის საბითუმო ვაჭრობა რეექსპორტის რეჟიმით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მესაკუთრე არის ფიზიკური პირი ბაკა ალავიძე (პ/ნ 01007000935). კომპანიას მართავს დირექტორი ბაკა ალავიძე - საქართველოს მოქალაქე.

2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში "მსს ფასს"), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს

ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი ("GEL").

უცხოურ ვალუტაში ჩატარებული ოპერაციების ასახვა ხდება ოპერაციის ჩატარების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით. ასეთი ოპერაციების ჩატარებით მიღებული მოგება-ზარალი აისახება შემოსავლების ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი **2023**	**31** დეკემბერი **2022**
ლარი/1 აშშ დოლარი	**2.6894**	**2.7020**
ლარი/1 ევრო	**2.9753**	**2.8844**

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის მიერ რეალიზაციის ოპერაციები ძირითადად ხორციელდება შემუშავებული ჩვეულებრივი პირობებით, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.
ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმ ობიექტური მტკიცებულების დასადგენად, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება ამ თანხების ამოღებადობის შესაძლებლობა. თუკი არსებობს მსგავსი სახის მტკიცებულებები, ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. კომპანია იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს. სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს შეძენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს.
რადგან კომპანია საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის რეალიზაციას არ ახორციელებს, სასაქონლო-მატერიალური მარაგები სრულად არის დასაწყობებული საბაჟო ტერმინალებში.

შეფასებით გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო გასაყიდი ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება შემდეგი პრინციპით: ისტორიულ ღირებულებას აკლდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები	20-50 წელი
- მოწყობილობა-დანადგარები	5-10 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა	5-10 წელი
- ავეჯი	5-10 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები	3-10 წელი

თუ ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდეგ გაირკვევა, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის ნორმა მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაშინ მოცემული აქტივის ცვეთა გადაიხედება და შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (მათ შორის შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა) და სხვა არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადა შეადგენს 3-10 წელს.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

თუ ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდეგ გაირკვევა, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის ნორმა მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაშინ მოცემული აქტივის ცვეთა გადაიხედება და შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუკი არსებობს ასეთი ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს აქტივის (დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის ხდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ტესტირება გაუფასურებაზე, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ გაუფასურებულია, სმფ-ს საბალანსო ღირებულება მცირდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი კი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სმფ-ს შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, თუ

წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი პირობების საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებებს და არ ითვალისწინებს რაიმე პროცენტებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ლარში (საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით). ასეთი საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შედეგი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელების ასახვა ხდება მოგებაში ან ზარალში იჯარის ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი კომპანიის წესდებით განისაზღვრება. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის პარტნიორის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე პატრნიორის მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის პარტნიორის მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი.

ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) ხდება როცა მყიდველს მიეწოდება საქონელი (მომსახურება) და გადაეცემა საკუთრების უფლება. შემოსავლის აღიარება ხდება

დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, მიღებული/მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-სა და ყოველგვარი ფასდათმობის გარეშე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა კომპანიების მოგების გადასახადით დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი. ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან

(რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფორმით. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს გადავადებულ აქტივებს და ვალდებულებებს.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

ხელფასებს, ბონუსებს, ანაზღაურებად შვებულებებს, ბიულეტენებს და არაფულად სარგებლებს კომპანია ასახავს დარიცხვის მეთოდით იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო (ან მსგავსი პროგრამის) ვალდებულება.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდების ვალდებულებად აღრიცხვა ხდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცხადებისა და დამტკიცების შესაბამის პერიოდში.

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

„საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები" მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე. საანგარიშო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებული და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს.

1		2023	2022
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	6	1
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	ფული ბანკში	-	6
სულ		6	7

2		2023	2022
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	მოთხოვნები მიწოდებიდან	1 437 379	774 244
სულ		1 437 379	774 244

3			
მარაგები	საქონელი	9 666 293	7 949 934
სულ		9 666 293	7 949 934

4		2023	2022
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	მიწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	9 952 984	7 866 270
სულ		9 952 984	7 866 270

5		2023	2022
საგადასახადო ვალდებულებები	საგადასახადო ვალდებულებები	-	828
სულ		-	828

6		2023	2022
შემოსავალი	შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	40 316 316	41 247 611
სულ		40 316 316	41 247 611

7		2023	2022
თვითღირებულება	გაყიდული/შეძენილი საქონელი	39 215 768	40 564 812
სულ		39 215 768	40 564 812

8		2023	2022
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	შრომის ანაზღაურება	42 000	8 500
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	სოციალური დანარიცხები	1 714	347
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	საკონსულტაციო მომსახურება	3 540	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	საკანცელარიო ხარჯი	62	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	საბროკერო და სატერმინალო მომსახურება	139 964	101 924
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	ბანკის საკომისიო	239	3 740
სულ		187 519	114 511

9		2023	2022
სხვა ხარჯები	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	1 209 766	580 528
სხვა შემოსავლები	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	775 144	760 227

შპს გრანდი 2022

მმართველობითი ანგარიშგება და 2023 წლის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „გრანდი 2022“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს), კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: ქ.თბილისი, სამღერეთის ქ. N 32. რეგისტრაციის თარიღია 2022 წლის 08 თებერვალი და საიდენტიფიკაციო კოდი: 402203548

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თამბაქოს ნაწარმის არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა რეექსპორტის რეჟიმით.

კომპანიის საქმიანობა სეზონურობით არ ხასიათდება. კომპანიის მიერ ხდება იმპორტირებული პროდუქციის დასაწყობება და რეალიზაციას ვანხორციელებთ რეექსპორტის რეჟიმით საბაჟო ტერმინალებიდან.

კომპანიის მიზანია უწყვეტ რეჟიმში აწარმოოს თამბაქოს ნაწარმის იმპორტი და რეალიზაცია. იგი ორიენტირებულია გააფართოვოს პროდუქციის მიწოდების არეალი და ქსელი, შეინარჩუნოს პროდუქციის ხარისხი და მიწოდების დროულობა.

კომპანიის საქმიანობის შესახებ სამომავლო სტრატეგიული გადაწყვეტილებები მიიღება 100% წილის მფლობელის და დირექტორის ბაკა ალავიძის (პ/ნ 01007000935) მიერ.

შპს გრანდი 2022 დიდწილად იზიარებს იმ რისკებსა და გაურკვევლობებს, რაც კომპანიის წინაშე დგას. ესენია:

ბუნებრივი კატაკლიზმები - კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბუნებრივ მოვლენებსა და მათ სტიქიურ გამოვლინებებს, რომელთა დადგომის ალბათობა დაბალია, შეუძლია შესამჩნევი ზიანის (საშუალო ეფექტის) მიყენება კომპანიის ოპერაციებისათვის: ამ მოვლენებში შესაძლოა მოიაზრებოდეს სხვადასხვა სახის ბუნებრივი მოვლენები: მიწისძვრები, დიდი რაოდენობის ნალექები, წყალდიდობა, ტრანსპორტირების შეფერხება მკაცრი ბუნებრივი პირობების გამო, ხანძარი და ტექნოგენური კატასტროფები.

პოლიტიკური არასტაბილურობა - არასტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციას ქვეყანაში შეუძლია მნიშვნელოვანი (დიდი ეფექტის) უარყოფითი გავლენა მოახდინოს ზოგადად ბიზნესის წარმოებაზე და კერძოდ, კომპანიის საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია საქონლის იმპორტთან, მის გადაზიდვასთან, მომსახურებასთან და სხვადასხვა სახის ტექნოლოგიურ ციკლებთან, რომელთათვისაც აუცილებელია სტაბილური, წინასწარგანჭვრეტადი და კეთილგანწყობილი გარემო. სავარაუდოდ, დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით, მკვეთრი ცვლილებების ალბათობა, რომლებიც მნიშვნელოვან პოლიტიკურ არასტაბილურობას გამოიწვევს ქვეყანაში, კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, დაბალია.

შეიარაღებული დაპირისპირება და ომი - ეს მოვლენები განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ბიზნესზე და მათი შედეგები, შესაძლოა შეუქცევადი და კატასტროფული მასშტაბის აღმოჩნდეს.

საგარეო ფაქტორების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე - გამომდინარე იქიდან რომ შპს გრანდი 2022-ის მომწოდებლების უმრავლესობას უცხოური კომპანიები შეადგენენ, ნეგატიური შინაარსის საგარეო ფაქტორები შესაძლოა უარყოფითად აისახოს მის საქმიანობაზე. კომპანია ნეგატიური საგარეო ფაქტორების დადგომის ალბათობასა და მის გავლენას მთლიანად კომპანიის საქმიანობაზე - აფასებს მცირედ. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად საგარეო ბაზრების არასტაბილურობა ან კრიზისული განვითარება სხვადასხვა სახის რისკებს, ეფექტებსა და შედეგებს წარმოშობს, რომელთა გავლენის წინასწარ განსაზღვრა რთულია.

ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილება - ეს განსაკუთრებით საყურადღებო საკითხია, იმპორტირებულ საქონელზე ორიენტირებული ბიზნესისათვის. შპს გრანდი 2022 ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილების ალბათობას და ამ ცვლილებით დამდგარ შედეგებს აფასებს როგორც „საშუალო" სიმძიმის და მუდმივად დიდ ყურადღებას უთმობს საკურსო სხვაობებთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია საიმპორტო და საექსპორტო ოპერაციებისთვის.

კომპანია მიიჩნევს, რომ გააჩნია ყველა რესურსი და პირობა იმისთვის, რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება და მენეჯმენტის შეფასებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში მის სამომავლო ფუნქციონირებას არანაირი საფრთხე არ შეექმნება და იგი ბაზარზე ოპერირებას ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით განაგრძობს.

ბაკა ალავიძე
დირექტორი

30 სექტემბერი, 2024 წელი
თბილისი, საქართველო

ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილება - ეს განსაკუთრებით საყურადღებო საკითხია, იმპორტირებულ საქონელზე ორიენტირებული ბიზნესისათვის. შპს გრანდი 2022 ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილების ალბათობას და ამ ცვლილებით დამდგარ შედეგებს აფასებს როგორც „საშუალო" სიმძიმის და მუდმივად დიდ ყურადღებას უთმობს საკურსო სხვაობებთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია საიმპორტო და საექსპორტო ოპერაციებისთვის.

კომპანია მიიჩნევს, რომ გააჩნია ყველა რესურსი და პირობა იმისთვის, რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება და მენეჯმენტის შეფასებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში მის სამომავლო ფუნქციონირებას არანაირი საფრთხე არ შეექმნება და იგი ბაზარზე ოპერირებას ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით განაგრძობს.

ბაკა ალავიძე
დირექტორი

30 სექტემბერი, 2024 წელი
თბილისი, საქართველო